ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/07

დაბა ქედა, 28 ივნისი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:40 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 13.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

28 ივნისი, 2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დასწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ზაზა დავითაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში;

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: ზაზა დავითაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. **მოისმინეს:** „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018

წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-952417812, 26.06.2024 წელი.) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე), განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ივლისი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2024 წლის 26 ივლისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241804 , 28.06.2024 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ზაზა დავითაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის გაგრძელების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95241792, 27.06.2024 წელი.) და განმარტა, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება ახალი განკარგულების მიღება - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მე-3 ქუჩის მდინარე წონიარისისწყალზე არსებულ ხიდამდე გაგრძელების შესახებ, სადაც აღნიშნული განკარგულების მიღებას საფუძვლად უდევს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 23 მაისის №109903 წერილი (შემოსული დოკუმენტი №04-95241444-95, 23.05.2024 წ.) და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241803, 28.06.2024 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში.

მომხსენებელმა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში (წერილის ნომერი: №დ95.95241793, 27.06.2024 წელი.) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენი სოციალურად დაუცველი მოქალაქე ირიცხებოდა ქედის მუნიციპალიტეტში და რამდენი ადამიანი იყო დასაქმებული 300 ლარიან პროგრამაში.

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ დაზუსტებით ვერაფერს იტყოდა, თუმცა დაახლოებით 630-მდე ოჯახი იყო ჩართული 300 ლარიანი დასაქმების პროგრამაში, სოციალური ქულის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ გადაეცათ ჯილდო ქედაში არსებული მაგიდის ჩოგბურთის მოთამაშეებს წარმატებული თამაშებისათვის.

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ რა რაოდენობითაც იყო განსაზღვრული იმ რაოდენობით იქნა გადაცემული გუნდზე. აქვე, მიმართა საკრებულოს ინიციატივით, კარგი იქნებოდა მომავალში გათვალისწინებულ იქნას მუნიციპალიტეტის მიერ მედიკამენტებით დახმარების პროგრამაში ჩართული მოქალაქეების 120 000 ქულიდან 130 000 ქულამდე გაზრდის საკითხი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფით პენსიონერებიც სარგებლობენ აღნიშნული პროგრამით, მოქალაქეების დიდი ნაწილი პროგრამის გარეშე დარჩა.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის ანგარიში.
(განკარგულება N:გ-95.95241802; 28.06.2024 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ზაზა დავითაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ბიუროს სხდომის ოქმი №7, 27.05.2024 წელი) და განმარტა, რომ საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე

1	ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წლიური ანგარიში	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
6	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების მდგომარეობის, სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, მოსმენა და ანალიზი.	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	შპს „ქედის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრში“ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს. „ქედის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“-ს დირექტორი
8	ააიპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის სასპორტო სკოლა“-ს დირექტორი
9	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის 2024 წლის მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
10	სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

11	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
12	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტალი სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენი საკითხი იქნა მოსმენილი წინა კვარტალში დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით საკრებულოს სხდომებზე.

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მომხსენებელმა ზაზა დავითაძემ, რომ საკრებულოს სხდომებზე მოსმენილ იქნა შვიდი საკითხი, ხოლო ოთხი საკითხი ორგანიზაციების მიერ ჯერჯერობით არ იქნა მოწოდებული, კერძოდ; შპს სარაგბო კლუბი ფირალები, შპს წყალკანალი, შპს ავტოსატრანსპორტო საწარმო და მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2023 წელში განხორციელებული აუქციონიების შესახებ ინფორმაცია.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95241801; 28.06.2024 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**